სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 2 თებერვალს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- ***Růžový panter, o.s.*** *ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ – განაცხადი №20240/08*

აპლიკანტი არის საზოგადოება, რომელიც მუდმივად მოღვაწებს პრაღაში. მისი მიზანია საჯარო სექტორში კორუფციასთან ბრძოლა. 2004 წლის 4 ოქტომბერს აღნიშნულმა საზოგადოებამ თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა პრეს-რელიზი, რომელიც განათებისა და გამათბობელი საწვავის კომპანიას ეხებოდა. პრეს-რელიზში საუბარი იყო აღნიშნული კომპანიის მიერ დიდი ოდენობით გადასახდებისაგან თავის არიდებაზე, რაც ძალიან აქტუალური თემა იყო პრესასა და ტელევიზიაში. პრეს-რელიზი შეტყობინების ფორმით ადრესირებული იყო პარლამენტის წევრებისა და დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტისადმი, რომელიც შემდგომში შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა და რომელსაც მოუწია ახსნა-განმარტებების გაკეთება გარკვეულ პირებთან კონტაქტის გამო. კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით აპლიკანტი ჩივის, რომ პრეს-რელიზში გამოქვეყნებული თითქოს ცილისმწამებლური შენიშვნების გამო მიყენებული ზარალი, რომლის გადახდაც მას დაეკისრა, თავის მხრივ წარმოადგენდა აზრის გამოხატვის უფლების დარღვევას.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

- *გერჟიკი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №40427/08*
- *მურდუგოვა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №28325/04*
- *ონოპკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №39878/05*

სასამართლომ სამივე სამოქალაქო საქმეზე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.